ხელშეკრულება №150

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 05 ნოემბერი 2019 წ.

ერთის მხრივ, სსიპ - ქალაქ თბილისის N198 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის თეონა ყაჭეიშვილის სახით და მეორეს მხრივ, ინდივიდუალური მეწარმე „მარიამ ბაჩიაშვილი“, (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მარიამ ბაჩიაშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით შემდეგი მასალის შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.1.1. საღებავები, ლაქები და მასტიკების (CPV:44800000) - თანხით 95,50 ლარი;
1.1.2. ხელნაკეთობები და ხელოვნების ნივთების შესაქმნელად საჭირო მასალების (CPV:37800000) - თანხით 190,52 ლარი;
1.1.3. სუფთა ქიმიკატები და სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებების პროდუქტების (CPV:24900000) - თანხით 17 ლარი;
1.1.4. ქვიშა და თიხის (CPV:14200000) – 30 ლარი;
1.1.5. ავეჯის აქსესუარების (CPV:39200000) – 16,96 ლარი;
1.1.6. საოფისე მანქანა-დანადგარები, აღჭურვილობა და საკანცელარიო ნივთები, კომპიუტერების, პრინტერების და ავეჯის გარდა (CPV:30100000) - თანხით 37,50 ლარი;
1.1.7. სამკაულები, საათები და მონათესავე ნივთები (CPV:18500000) - თანხით 8 ლარი;
1.1.8. სამშენებლო ქვა, კირქვა, თაბაშირი და ასპიდური ფიქალი (CPV:44900000) – 10 ლარი:
1.1.9. ხელსაწყოები, საკეტები, გასაღებები, ანჯამები, დამჭერები, ჯაჭვები და ზამბარები/რესორები (CPV:44500000) – 4 ლარი;
1.1.10. სამთო მრეწველობასთან და კარიერის დამუშავებასთან დაკავშირებული პროდუქტები (CPV:14500000) - თანხით 18 ლარი;

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს **427,48** (ოთხასოცდაშვიდი ლარი 48 თეთრი) ლარს.
2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.
3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.
3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 10 (ათი) დღის ვადაში შემსყიდველის მისამართზე (ქ. თბილისი, შარტავას 20).

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები

განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.
10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

12.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს N198 საჯარო სკოლის დირექტორი თეონა ყაჭეიშვილი.
12.2. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია აწარმოოს მოწოდებული შესყიდვის ობიექტის ხარისხის და რაოდენობის ინსპექტირება.

მუხლი 13. ხელშეკრულების ენა

13.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებამდე, 2019 წლის 31 დეკემბრამდე.

მუხლი 15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

სსიპ - ქალაქ თბილისის №198 საჯარო სკოლა

ს/კ 202887778

მის: ქ. თბილისი, შარტავას N20

ტელ: 2380465

საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს ,,თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი TBCBGE22
ა/ა GE91TB1100000333609106

დირექტორი თეონა ყაჭეიშვილი

_____

მიმწოდებელი:

ინდივიდ/მეწარმე „მარიამ ბაჩიაშვილი“

ს/კ 01011044025
მის.: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N20
ტელ.: 591153534

საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს ,,თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი TBCBGE22
ა/ა GE49TB7409745064300013

დირექტორი მარიამ ბაჩიაშვილი

_____

(ხელმოწერა) ბ.ა

დანართი N1 ხელშეკრულების საგნის აღწერა

1. შესყიდვის ობიექტია:

CPV - კოდი	**დასახელება**	**რაოდენობა**	**ერთეულის ფასი**	**საერთო**
39241200	მაკრატელი	5	2.00	10.00
18500000	აქსესუარი სამაჯური	10	0.80	8.00
30195000	დაფა მდფ	15	1.50	22.50
44820000	ლაქი პულვიზატორით	5	5.50	27.50
37820000	გუაში	1	5.50	5.50
37821000	ფუნჯი	1	7.00	7.00
37821000	ფუნჯი	4	2.88	11.52
37821000	ფუნჯი	2	2.00	4.00
30194300	დეკორატიული ქაღალდი	10	1.50	15.00
37800000	სილიკონის პისტოლეტი	7	6.50	45.50
44812400	დეკორატიული ცემენტი	10	0.80	8.00
14522300	ზუმფარა	10	1.80	18.00
44921100	თაბაშირის ფხვნილი	10	1.00	10.00
44812300	აკრილის საღებავები სხვადასხვა ფერის	15	3.00	45.00
37820000	საქარგი რგოლი	10	7.50	75.00
24910000	პვ წებო 3 კგ	1	17.00	17.00
14221000	თიხა თეთრი	10	3.00	30.00
44512200	მრგვალტუჩა	1	4.00	4.00
44812300	აკრილის საღებავები	1	15.00	15.00
39221120	ღვინის ჭიქა	12	0.58	6.96
37820000	ბუმბული პატარა დამჭერით	20	1.50	30.00
37800000	ცხელი წებოს ჩხირი	30	0.40	12.00
	სულ ღირებულება:			**427,48**

სსიპ - თბილისის N198 საჯარო სკოლა
სკოლის დირექტორი /თეონა ყაჭეიშვილი/

ინდივიდუალური მეწარმე /მარიამ ბაჩიაშვილი/